

## შპს „ინშაათ სამსუნ“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## ფინანსური ანგარიშგება

### სარჩევი

|                                                           |   |
|-----------------------------------------------------------|---|
| მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....  | 1 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                   | 2 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....           | 3 |
| 1. კორპორატიული ინფორმაცია.....                           | 4 |
| 2. მომზადების საფუძველი.....                              | 4 |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....      | 4 |
| 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები ..... | 7 |
| 5. შემოსავალი რეალიზაციიდან .....                         | 7 |
| 6. თვითღირებულება.....                                    | 7 |
| 7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....                   | 7 |
| 8. ძირითადი საშუალებები.....                              | 8 |
| 9. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....                    | 9 |
| 10. საგადასახადო აქტივი .....                             | 9 |
| 11. ფული და ფულის ექვივალენტები .....                     | 9 |
| 12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....                    | 9 |

შპს „ინშაათ სამსუნ“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                               | შენიშვნა | 2023<br>(არააუდიტირებული) | 2022<br>(არააუდიტირებული) |
|-----------------------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                      | 5        | 6,851,659                 | 8,711,776                 |
| თვითღირებულება                                | 6        | (6,253,332)               | (7,177,920)               |
| საერთო მოგება                                 |          | 598,327                   | 1,533,857                 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი               | 7        | (108,190)                 | (177,440)                 |
| საოპერაციო მოგება                             |          | (490,137)                 | 1356416                   |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი |          | (9,835 )                  | 10,969                    |
| მოგება/ზარალი დაბეგვრამდე                     |          | 480,302                   | 1,367,386                 |
| მოგების გადასახადი                            |          | -                         | -                         |
| წმინდა მოგება/ზარალი                          |          | 480,302                   | 1,367,386                 |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს:



ათეშ მურათ  
დირექტორი

## შპს „ინშაათ სამსუნ“

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                      | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2023<br>(არააუდიტირებული) | 31 დეკემბერი 2022<br>(არააუდიტირებული) |
|--------------------------------------|----------|----------------------------------------|----------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                      |          |                                        |                                        |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>         |          |                                        |                                        |
| ძირითადი საშუალებები                 | 8        | 174,217                                | 35,748                                 |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>     |          | <b>174,217</b>                         | <b>35,748</b>                          |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>            |          |                                        |                                        |
| სასაქონლო მატერიალური მარაგები       | 9        | 2,916,623                              | 238,745                                |
| საგადასახადო აქტივი                  | 10       | -                                      | 11970                                  |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები           |          | 542,010                                | 2519122                                |
| ფული და ფულის ეკვივალენტები          | 11       | 134                                    | 185                                    |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>        |          | <b>3,458,767</b>                       | <b>2,770,021</b>                       |
| <b>სულ აქტივები</b>                  |          | <b>3,632,984</b>                       | <b>2,805,770</b>                       |
| <b>კაპიტალი</b>                      |          |                                        |                                        |
| გაუნაწილებელი მოგება                 |          | 2,306,417                              | 1,826,115                              |
| <b>სულ კაპიტალი</b>                  |          | <b>2,306,417</b>                       | <b>1,826,115</b>                       |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>       |          |                                        |                                        |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები        | 12       | 1,326,567                              | 979,655                                |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>   |          | <b>1,326,567</b>                       | <b>979,655</b>                         |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b> |          | <b>3,632,984</b>                       | <b>2,805,770</b>                       |

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                     | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ<br>კაპიტალი |
|-------------------------------------|-------------------------|-----------------|
| 31 დეკემბერი 2021 (არააუდიტირებული) | 458,729                 | 458,729         |
| მიმდინარე წლის მოგება               | 1,367,386               | 1,367,386       |
| 31 დეკემბერი 2022 (არააუდიტირებული) | 1,826,115               | 1,826,115       |
| მიმდინარე წლის მოგება               | 480,302                 | 480,302         |
| 31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული) | 2,306,417               | 2,306,417       |

## შპს „ინშაათ სამსუნ“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს ინშაათ სამსუნ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2021 წლის 6 იანვარს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 440892544.

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ლითონის სამშენებლო კონსტრუქციების და ნაწილების წარმოება.

**იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.** კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქარელის რაიონი, სოფელი დირბი.

**კომპანიის მეწილეები:** ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილის მფლობელი და დირექტორია მურათ ათეშ.

#### 2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

**შესაბამისობის განცხადება.** აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

**უცხოური ვალუტა.** ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქარველოს ეროვნული ბანკის ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                        | აშშ დოლარი | ევრო   |
|------------------------|------------|--------|
| 2023 წლის 31 დეკემბერი | 2,6894     | 2,9753 |
| 2022 წლის 31 დეკემბერი | 3.0976     | 3,5040 |

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

#### ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მისი გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

#### ჯგუფი

#### სასარგებლო მომსახურების ვადა

მანქანა-დანადგარები

5

**მარაგები.** კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულებზე მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღირიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

**სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.** სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

**გადასახადები.** საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

**განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.** კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

**დამატებული ღირებულების გადასახადი.** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები

რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

**კაპიტალი.** ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

**შემოსავლების აღიარება.** შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

**სხვა შემოსავალი.** სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

**ხარჯების აღიარება.** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით.** კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
  - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
  - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
  - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებულ იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდით. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

**5. შემოსავალი რეალიზაციიდან**

2023 წლის პერიოდში რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 6,851,659 ლარი

**6. თვითღირებულება**

2023 წლის ბოლოს თვითღირებულებამ შეადგინა 6,253,332 ლარი, იგი მოიცავს პირდაპირი მასალის დანახარჯს, პირდაპირი ხელფასის დანახარჯს და წარმოებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

**7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი**

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

|                       | 2023             | 2022             |
|-----------------------|------------------|------------------|
| შრომის ანაზღაურება    | (64,235)         | (132,822)        |
| საკონსულტაციო ხარჯები | -                | (20,474)         |
| საიჯარო ქირა          | -                | (12,241)         |
| კომუნალური ხარჯები    | -                | -                |
| ცვეთა ამორტიზაცია     | (38,179)         | (1575)           |
| სხვა ხარჯი            | (5,776)          | (10,328)         |
| <b>სულ</b>            | <b>(108,190)</b> | <b>(177,440)</b> |

შპს „ინშაათ სამსუნ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

## 8. ძირითადი საშუალებები

|                                 | სამშენებლო<br>მანქანა-<br>დანადგარები | ჯამი     |
|---------------------------------|---------------------------------------|----------|
| 31 დეკემბერი 2022               | 41,327                                | 41,327   |
| შემოსვლა                        | 176,647                               | 176,647  |
| გასვლა/ჩამოწერა                 | -                                     | -        |
| 31 დეკემბერი 2023               | 217,974                               | 217,974  |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>          |                                       |          |
| 31 დეკემბერი 2022               | (5,578)                               | (5,578)  |
| ცვეთის ხარჯი                    | (38,179)                              | (38,179) |
| გასვლა/ჩამოწერა                 | -                                     | -        |
| 31 დეკემბერი 2023               | (43,757)                              | (43,757) |
| <b>საბალანსო<br/>ღირებულება</b> |                                       |          |
| 31 დეკემბერი 2022               | 35,749                                | 35,749   |
| 31 დეკემბერი 2023               | 174,217                               | 174,217  |

## შპს „ინშაათ სამსუნ“

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 9. სასაქონლო მტერიალური მარაგები

|                  | 31 დეკემბერი<br>2023 | 31 დეკემბერი<br>2022 |
|------------------|----------------------|----------------------|
| ლითონის მასალები | 2,916,623            | 238,745              |
| <b>სულ</b>       | <b>2,916,623</b>     | <b>238,745</b>       |

#### 10. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან საბაზისო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

#### 11. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე გათვასებულ თანხებს ეროვნული ვალუტაში.

#### 12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                                                | 31 დეკემბერი<br>2023 | 31 დეკემბერი<br>2022 |
|----------------------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| საქონლის და მომსახურების მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 1,292,298            | 946,635              |
| გადასახდელი ხელფასები                                          | 34,269               | 33,020               |
| <b>სულ</b>                                                     | <b>1,326,567</b>     | <b>979,655</b>       |